საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია № 269 კვირა, 30 ივნისი 1918 წ. № 269

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

მცხეთის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა დაამარცხა აჯანყებულები: ხელთ იგდო ორი ტყვიის მფრქვეველი და თოფები. დატუსაღეს და ტფილისში ჩამოიყვანეს დუშეთის მაზრის ბოლშევიკების წინამძღოლი პორ. ხაჩატუროვი.—ოსმალოებმა კოდორთან ჯარი გადმოსხეს.—გენ. მაზნიაშვილი ოსმალესის ჯარს შეებრძოლა და დიდი ზიანი მიაყენა მას.—ყაჩაღთა ბრბოები გარს შემოერტყნენ სახხერეს და ჭიათურისკენ მოდიან ადგილობრივ მილიციასა და მათ შორის ბრძოლაა.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ—1 მან, უკან—50 კაპ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15—2 ღირს 10 მან., 20—2 ღირს 15 მან., 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (კ. თავართქილაძისეული „ნადეჟდა") ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება სამი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Смхалхо Сакмэ", поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 50 კაპ.

ტელეფონი 12-26

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:

ერთის თვით 8 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 40 კ., რკ. გზის სადგურებზე 50 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

კვირას ამა ივნისის 30 |17| დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი

კიტა აბაშიძის

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება პირველის ნახევარზე. ცალკე განცხადებები არ იქნება

სრულიად საქართველოს საკათოლიკოზო საბჭო და სასამართლო გლოვით აუწყებს ქართველ ერს, რომ ამა ივნისის 26—27-ს მამა ანტონ მარტყოფის მონასტერში ღვთით მიიცვალა უწმინდესი და უნეტარესი კათოლიკოზ პატრიარქი სრულიად საქართველოსა

კირიონ მე-II

პანაშვიდები ყოველ დღე შუადღის 12 საათზე და საღამოს 7 საათზე კათოლიკოზის კარის ეკლესიაში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1216

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ეკატერინე (პარიდონის ასული ქეთინო), სიდედრი ელისაბედ ზაქარიას ასული შვილები—ანტონი და მიხეილ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ივნისის 30-ს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი აწყურთან ბრძოლაში გმირულად დაღუპულ პორუჩიკის

ალექსი მელუას

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე პანაშვიდი 12 საათზე. 1212

სრულიად საქართველოს საკათოლიკოზო საბჭოს კანცელარიის მოხელე მოსამსახურენი ღრმესის მწუხარებით აუწყებენ ქართველ საზოგადოებას, რომ ივნისის 27-ს, ღამე, მარტყოფის მამა ანტონის მონასტერში საუკუნო განსვენებას მიეცა მისი უწმიდესობა სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი უნეტარესი

კირიონ მეორე

პანაშვიდები ყოველ დღე მისი უწმიდესობის კარის ეკლესიაში შუადღის 12 საათზე და საღამოს 7 საათზე. 1218

ექიმთა და ავადმყოფთა საყურადღებოდ

რადგანაც საზღვარ-გარეთულ „იკლინ", „გეისნერ" და „კლაფე"-ს და სხვა ფირმებიდან ალარავითარი კან ძვეშ შესაშხაპუნებელი პრეპარატები არ მოგვდის; ჩვენი ლაბორატორია კისრულობს ყოველ გვარი შესაშხაპუნებელი წამლების ამპულებში დამზადებას. ზემმელის აფთიაქის და ლაბორატორიის გამგე პროვიზორი მიხ. ხხეიძე. 631

დღეს, ივნისის 30-ს დილის 11 საათზე ძვირფასი და დაუვიწყარი ძმის

ალიოშ ბოგდანის ძის შიხინაშვილის

გარდაცვალების მეორე წლის თავზე გადახდილი იქნება პანაშვიდი და აკურთხებენ ძეგლს კათოლიკეთა სასაფლაოზე, სოლოლაკში, რასაც აუწყებს ნაცნობებსა და მეგობრებს სასოწარკვეთილი და მისი ბარბალე ბოგდანის ასული და ძმები პეტრე და ელექსანდრე შიხინაშვილები. 694

ორშაბათს, მკათათვის პირველს, დანიშნულია, ხელმეორედ ტფილისის ქართულ

საფილარმონიო საზოგადოების საგანგეო წევრთა კრება

(საზოგადოების გამგეობის ბინა, სლეპცოვის ქუჩა № 4.)

განსახილველია საზოგადოების სამუსიკო სკოლის რეორგანიზაციის საკითხი. რადგანაც წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო პირველად კრება არ შესდგა, მეორე კრება წესდების ძალით კანონიერია.

კრების დასაწყისი საღამოს 7 საათზე 1211

ქართული დრამატ. საზოგ. გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის მიერ დანიშნულია პრემიები საუკეთესო ორიგინალური პიესებისთვის.

პრემიები ასეა განაწილებული:

პირველი პრემია (ერთი)	—	—	1000 მან.
მეორე პრემია (ორი)	—	—	700 „
მესამე პრემია (ერთი)	—	—	500 „

პიესებს განიხილავს იმისთვის საგანგებოდ დანიშნული კომისია.

დაბეჭდილ კონვერტებში ავტორი აღნიშნავს თავის სახელს, გვარს და პიესის სათაურს.

ეს კონვერტები გაიხსნება მხოლოდ მაშინ, როდესაც სამუდამოდ გამოირკვევა რომელ პიესას რა პრემია აქვს მინიჭებული.

პრემიით დაჯილდოვებული პიესის სცენაზე დადგმის უფლება ეძლევა განსაკუთრებით დრამატ. საზოგად. 3 წლით, მაგრამ ავტორი მიიღებს ყოველთვის თვითეულ წარმოდგენაზე დანიშნულ ჰონორარს.

პიესები უნდა წარედგინოს დრამატ. საზოგადოებას ამ წლის 15 ოქტომბრამდის ამ მისამართით:

ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორა. ტფილისი. 1138

ტფილისის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმი,

რომელიც განაგებს საერობო არჩევნების საქმეს ტფილისის მაზრაში, დამატებით აცხადებს, რათა საშუალება მიეცეს ფართო მასას და ყველა დაინტერესებულ პარტიებს, ჯგუფებს და კერძო პირებს ფართო მონაწილეობა მიიღოს საერობო არჩევნებში, არჩევნები დანიშნული სართიჭალის რაიონში 7 ივლისისათვის, გადაიდო თოთხმეტი (14) ივლისისათვის.

2) ყარაიაზის რაიონში თორმეტი ივლისის მაგიერ არჩევნები მოხდება ცხრამეტ (19) ივლისს. აგრეთვე გადაიდება ხმოსანთა სიების წარმოდგენის ვადა ერთი კვირით. ე. ი. სართიჭალის რაიონისაგან უნდა იქნეს წარმოდგენილი სიები არა უგვიანეს (4) ოთხი ივლისისა და ყარაიაზის რაიონიდან კი არა უგვიანეს ცხრა ივლისისა საოლქო საარჩევნო კომისიასთან. ხმოსანთა რიცხვი ასეა განაწილებული: 1) სართიჭალის ოლქში 17 ხმოსანი და 2) ყარაიაზის ოლქში 5 ხმოსანი. წარმოდგენილი სიები ხელმოწერილი უნდა იყოს არა ნაკლებ ათი ამომრჩევლისაგან და მიიღება ერთ ერთ ამომრჩევლისაგან. კანდიდატები თავის თანხმობას აცხადებენ იმავ სიაზე ან და წერილობით აცნობებენ საოლქო საარჩევნო კომისიას არა უგვიანეს ორი დღისა სიების საყოველთაოდ გამოცხადებისა, მაგალითად სართიჭალის რაიონიდან არა უგვიანეს 5 ივლისისა და ყარაიაზისაში—10 ივლისისა, წინააღმდეგ შემთხვევაში სიიდან ამოირიცხებიან. სართიჭალის საოლქო კომისია მოთავსებულია სართიჭალაში საფხო კომისრის ჯილაურის კანცელარიაში. ყარაიაზისა კი დროებით, მაზრის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმთან, პეტრე დიდის ქუჩაზე № 22 მიწათ მოქმედ სამინისტროში, მესამე სართული, პირველი ოთახი შესავლიდან მარცხნივ.

ტფილისის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმი საჭიროთ სთვლის აცნობოს დაინტერესებულ პარტიებსა და ჯგუფებს, რომ კომიტეტის ფინანსიური მხარის სისუსტის გამო, საარჩევნო ბიულეტენების დამზადება და დარიგება მეთაურობით ინიციატივის საქმეა, მხოლოდ საჭიროა დაცულ იქნეს შემდეგი ფორმალური მხარე: ზომა საარჩევნო ბლანკებისა, რომელზედაც ხმოსანთა სახელი და გვარი იქნება აღნიშნული უნდა იყოს დაახლოვებით თაბახის ერთი მერვედი ფერით თეთრი.

ბიულეტენები საარჩევნო ყუთში ჩაშვების დროს უნდა იყოს კონვერტით და დაკეცილი ისე რომ დაწერილი მხარე არ ჩანდეს.

ნაწილი საარჩევნო ბლანკებისა აქვს მაზრის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმს და მსურველთ შეუძლიათ მიიღონ.

1216 ტფილისის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმი.

სახელმწიფო თეატრი

ნინო ჩხეიძის უკანასკნელი გასტროლი

კვირას, ივნისის 30 წარმოდგენილი იქნება „სულელის" ავტორის ნ. შიუკაშვილის ორიგინალი პიესა

ციცინათელა

დრ. 4 მოქმედ.

მონაწილეობენ: ქ.ქ. ვ. გამრეკელი, ე. ციმაკურიძე, ნ. ჩხეიძე; ბ.ბ. ი. ზარეელი, შ. დადიანი, დ. ძნელაძე, გ. ფრონისპირელი, მ. ქორელი, მ. ქიაურელი.

დასაწყისი საღ. 9 საათზე. რეჟისორი მ. ქორელი.

მსახ. კავშირის ადმ—ცია. 1204

თავისუფალი თეატრი

(მიხეილის პრ. № 66) ო. მ. ოსიპოვის დირექცია.

ხვალ, ორშაბათს ივნისის 1-ს გაიმართება

პრემიერისა და დასის რეჟისორის ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის

დიმოვის ბენეფისი

ორი სპექტაკლი ერთისა და იმავე პროგრამით, პირველი დაიწყება 8 ს. მეორე 9 ს. 45 წ.

1. განსაცვიფრებელი უმანკოება კომ. 1 მოქმ. დიმოვისა ნ. გიმნაზიელ გრიშას როლს შეასრულებს ს. დიმოვი 2. ცოდვის წყურვილისათვის. დრამა ნ. დიმოვისა. ვასო აბაშიძის როლს შეასრულებს ნ. დიმოვი. 3. მხოლოდ ზენ (ერთი სცენა-ეტიუდი) შეასრ. ნ. დიმოვი. 4. დიდი კაბარე, ყველა მსახიობის მონაწილეობით.

ბილეთები იყიდება 12—2 ს. და 6—11 ს. 687

კვირას, ივნისის 30-ს დანიშნულია ახალი საკრებულოს წევრთა და კანდიდატთა

წლიური საზოგადო კრება

განსახილველი საგნები: 1. 2917 წლის ანგარიშის განხილვა, 2. მამასახლისთა საბჭოს მოხსენება, თავის მოქმედების შესახებ, 3. მამასახლისთა საბჭოს, სარევიზიო კომისიის წევრთა და კანდიდატების არჩევნები და სხვა .1209

აგარაკი წაღვერში

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ წაღვერში ავილე ცნობილი აგარაკი ქ-ნ მლებროვისა, რომელიც მდებარეობს საუკეთესო ადგილას.

პანსიონში არის სასადილო, პიანინო, ცივი წყაროს წყალი. შეიძლება სრული პანსიონიცა და აგრეთვე მარტო ოთახის დაქირავებაც.

დაწვრილებითი ცნობები, წაღვერი იოს. ა. კიკნაძეს.

ტფილისი ზემმელის აფთიაქის მოიჯარადრე მიხ. ხხეიძესთან ტელ. 6—28

ყვირილის ქალ-ვაჟთა გიმნაზიის

დირექტორი ამით აცხადებს საზოგადოების საყურადღებოდ შემდეგს: 1) მისაღები და გადამეორებითი გამოცდები არის დანიშნული ყვირილის ქალ-ვაჟთა გიმნაზიაში 20 მარიამობისთვიდან; 2) გიმნაზიაში თავისუფალია შემდეგი საგნების მასწავლებლების ადგილები: ქართულის, მათემატიკის, გერმანულის, ფრანგულის და რუსულის, ვისაც სურს რომელიმე აღნიშნულ ადგილთაგანი დაიჭიროს, უნდა მიმართოს ხსენებულ გიმნაზიის საბჭოს შესაფერი თხოვნით და მასთანავე წარადგინოს საჭირო საბუთები.

1207 ყვირილის ქალ-ვაჟთა გიმნაზიის დირექტორი: ნიკ. კვინიკაძე.

ქართ. ვაჭარ-მრეწველთა კავშირი

გადავიდა ახალ ბინაზე: საქარ. ეროვნულ საბჭოს შენობაში, ფრეილინის ქ. № 11 ტელეფონი 9—18 კანცელარია ღიაა 10—1 საათამდე. 692

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად

საქართველოს რესპუბლიკის რუკა

უახლოესი გამოცემა. რუკა იყიდება ქ. ტფილისის და ქუთაისის წიგნის მაღაზიებში. 650.

ტფილისი. 30 ივნისი 1918 წ.

ოსმალოები სოხუმის ოლქში.

ქართველმა ხალხმა ეხლა მაინც უნდა დაინახოს, რანაირ სამსახურს უწევენ ბოლშევიკები საქართველოს, არ ყოფილა არც ერთი ისეთი კუთხე, სადაც ბოლშევიკების აჯანყებას ოსმალეთის შემოსევა არ მოჰყოლოდა. ბაქოში მოკალათებულმა ბოლშევიკებმა არ მოისვენეს იმ დრომდე, სანამ ამიერკავკასია არ დაარღვიეს და ოსმალეთის შემოსევას ნიადაგი არ მოუმზადეს. ეხლა ბაქოს ბოლშევიკები სთხოვენ დახმარებას საქართველოს მთავრობას ოსმალეთის წინააღმდეგ, მაგრამ სთხოვენ დახმარებას უკვე მაშინ, როდესაც საქართველოს არავითარი დახმარების აღმოჩენა შეუძლიან.

ასევე მოიქცნენ ბოლშევიკები სოხუმის ოლქში. მოაწყეს აჯანყება და ატყუეს ხალხი იმ დრომდე, სანამ არეულ დარეულობით ოსმალოებმა არ ისარგებლეს და სოხუმთან ჯარი არ გადასხეს. ოსმალოების ჯარს წინ გაუძღვა ალექსანდრე შერვაშიძე, წინააღმდეგ აფხაზთა სახალხო საბჭოს სურვილისა.

ქართველებისა და აფხაზების შეერთებული ჯარი გენერალ მაზნიაშვილის მეთაურობით ებრძვის ბოლშევიკებს და სწორედ ამ დროს ზურგიდან მახვილს არტყამს ოსმალეთის დესანტი. ცხადია, რომ აქაც ბოლშევიკური აჯანყება წინ უძღოდა ოსმალეთის შემოსევას. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. გარეშე მტერი განსაკუთრებით იქ მიდის იერიშებით, სადაც წინააღმდეგობას არ ელის. თუ საქართველოში მალე არ დამყარდა წესიერება, თუ ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში ხალხმა არ შეიგნო, რომ არეულობას და ბრძოლას მთავრობის წინააღმდეგ ოსმალეთის მიერ მოსყიდული ხალხი აწარმოებს,—თუ ხალხმა ეს ვერ გაიგო და პროვოკატორების ხმას აჰყვა, ქართველი ხალხი დაიღუპება და საქართველო ოსმალეთის სათარეშო მოედნად გადაიქცევა.

ბაქოს ბოლშევიკებს ოსმალები მოჰყვნენ, სოხუმის ბოლშევიკებსაც ოსმალები მოჰყვნენ. ასე იქნება მუდამ, თუ ჩვენი ხალხი ისევ სიბნელეში დარჩა და მოსყიდული ხალხის პროვოკაციას აჰყვა.

რაიცა შეეხება კერძოდ სოხუმის ოლქს, აფხაზების სახალხო საბჭომ პროტესტი გამოუცხადა ოსმალეთს. მაგრამ ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რასაც ნიშნავს ოსმალეთისთვის სიტყვიერი პროტესტი. ოსმალეთი არასოდეს ყოფილა თავისი სიტყვის პატიოსანი ამსრულებელი და ეხლაც, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს საქართველოსა და ოსმალეთს შორის ზავია შეკრული, იგი არ ისვენებს და ხან ერთს ადგილს გვაწუხებს და ხან მეორე ადგილს. როგორცა სჩანს, ოსმალეთს თავისი როლი საქართველოში ჯერ გათავებულად არ მიაჩნია; როგორცა სჩანს, იგი სიტყვით მშვიდობიანობას ამყარებს და საქმით კი ახალ თავდასხმას ამზადებს.

სოხუმში ჯარის გადასხმა ნათლად მოწმობს, რომ ოსმალეთი ვერ მოისვენებს, სანამ მის უსაზღვრო მადას წინ არ დაუყენებთ ძლიერს სამხედრო ძალას. როგორცა სჩანს, ოსმალეთი სოხუმის ოლქის შემდეგ კიდევ ახალს ადგილებს ამოირჩევს მახვილის დასაცემად და უპირველესად ყოვლისა ისარგებლებს იმ არეულობით, რომელიც ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში მათ მიერ მოსყიდული პირები და აგენტები ახდენენ.

მაგრამ როგორ უნდა შევქმნათ ძლიერი სამხედრო ძალა, თუ სახელმწიფოში წესიერება არ დამყარდება? ოსმალებმა ეს ძალიან კარგად იციან და აწყობენ აჯანყებას ხან ერთს კუთხეში, ხან მეორეში, აწყობენ აჯანყებას, რათა მთავრობამ ძლიერი სამხედრო ძალის შექმნა ვერ მოახერხოს და მერე დასუსტებულ საქართველოს კისერზე დააჯდეს.

ასეთია გეგმა ოსმალებისა, ასეთია გეგმა ჩვენი მტრებისა, რომლებსაც ქართველი აჯანყებულები ხელს უწყობენ. ამიტომ, თუ ჩვენ გვინდა სოხუმის ოლქი გავწმინდოთ ოსმალეთის ჯარისაგან და საქართველოს დანარჩენი ნაწილიც უზრუნველვყოთ ოსმალეთის შემოსევისაგან, უნდა მოვსპოთ არეულობა, უნდა მოვსპოთ აჯანყება, სასტიკად დავსაჯოთ პროვოკატორები და შევქმნათ ჯარი, რომელიც დაიცავს ჩვენს საზღვრებს, დაიცავს ხალხის ოჯახებსა და მშვიდობიან შრომას.

მარტის სოციალისტები

ტფილისში გამოდის ერთი რუსული გაზეთი, რომელსაც ნათლად აზის ბეჭედი მარტის სოციალისტობისა. ტონი და შინაარსი გაზეთისა ისეთია, რომ იგი სოციალისტობას მხოლოდ სოციალისტურ ფრაზეოლოგიაში ჰხედავს. წარა მარა თავის ქებაშია, წარა-მარა სხვებს უწუნებს სოციალისტობას, მაგრამ ამასთანავე ერთად აქა-იქ გამოსჭვრეტს ხოლმე ისეთი რამ, რაც ნათლად აშკარავებს მათს სულის კვეთებას და ნათლად აჩვენებს ყველას, რომ მყვირალა სოციალისტური ფრაზეოლოგიის იქით იმალება ან ჩვეულებრივი ჩინოვნიკური დერჟიმორდობა ან, უკეთეს შემთხვევაში, სრული გაუგებრობა იმისა, თუ რაში უნდა გამოიხატოს დღევანდელ ობიექტიურ პირობებში ჭეშმარიტი მოღვაწეობა სოციალისტისა.

ეს გაზეთია „ტრუდოვოე ზნამია“, როგორცა სჩანს ჩემი წერილი ქალაქის თვითმართველობის სკანდალისტების შესახებ ამ „რუსის ხიშტით“ არჩეულ სოციალისტებს შიგ კაკალ გულში მოჰხვედრიათ ჩვენი ფრონტიდან გაქცეული ჯარის წარმომადგენლები, იდეოლოგები დეზერტირებისა ძალიან გაჯავრებულან და გაჯავრებულან მით უფრო, რომ არსებითად არაფრის თქმა შეუძლიანთ რომ შეეძლოთ, კიდეც იტყოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ არსებითად პასუხის გაცემას ვითომც არ კადრულობენ. ჩვენს საპასუხოდ დაბეჭდილ წერილში მხოლოდ ერთს გარემოებას მივაქცევთ ყურადღებას, გარემოებას, რომელიც ახასიათებს ავტორებს, როგორც მარტის სოციალისტებს. „ინტერნაციონალმა სამშობლო არ იცის და ეს ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაიხსომონ სოციალისტ-ფედერალისტებმა“ ღმერთმა გვიხსნას იმ უბედურებას, რომ რუს სოციალისტ-რევოლიუციონერებს და მათ ამყოლ-დამყოლ ქართველ კარიერისტებს, რომლებიც რეაქციის დროს სოროებში სხედან ხოლმე და მაშინ კი, როდესაც რევოლიუციონერობა ნება დართულია, დიდს სოციალისტობას იჩენენ,—ღმერთმა გვიხსნას უბედურებისაგან ასეთი განცხადება დავიჯეროთ. „ტრუდოვოე ზნამია“-ს ინტერნაციონალისტები ძალიან მაგარი პატრიოტები არიან და თუ დღეს ლაპარაკობენ, როგორც მხოლოდ და მხოლოდ რუსის პატრიოტები. ჩვენ ვიცით, სათითაოდ ვიცნობთ ზემოხსენებული გაზეთის სულის ჩამდგმელებს და ამიტომ ამისთანა განცხადება ღიმილს მეტს ვერაფერს იწვევს. მათ ამოძრავებთ მხოლოდ სიძულვილი საქართველოს დამოუკიდებლობისადმი და ასეთი სიძულვილი კი შეიძლება ჰქონდეს არა ინტერნაციონალისტს, არამედ მპყრობელი ერის ქინიანობით დაინფულებულ ადამიანს. საქართველო იბრძვის უდიდესი საკაცობრიო იდეალისთვის. საქართველოს ჰსურს თავი დააღწიოს ყოველნაირ მონობას, სხვათა შორის რუსეთის მონობასაც და ნამდვილი ინტერნაციონალისტი ამნაირ ბრძოლას ხელს უნდა უწყობდეს. მაგრამ განა შესაძლებელია რუსის შოვინისტმა ან რუსის შოვინისტის ლაქიებმა ქართველმა კარიერისტებმა გულგრილად შეხედონ საქართველოს პოლიტიკური წრეების ამ კეთილშობილურ მისწრაფებას! და რომ მათ ეს ვერ შეუძლიათ, ეს სხვათა შორის ზემოხსენებული პასუხიდანაცა სჩანს. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთის სიტყვით, ინტერნაციონალს სამშობლო არა აქვს, მაინც ერთს საყურადღებო აზრს ვხვდებით. თუმცა მორცხვათ, მაგრამ მაინც ფრიად აშკარად ბ-ნი ისკანდერი ბრძანებს, თუ სახელმწიფო ღალატზე ჩამოვარდება ლაპარაკი, მაშინ იქნება მოღალატედ ვინმე სხვა აღმოჩნდესო, სჩანს მოღალატე საქართველო ყოფილა. თუ ინტერნაციონალს სამშობლო არა აქვს და თუ ბ-ნი ისკანდერი ინტერნაციონალისტი ბრძანდება, მაშინ არც მას უნდა ჰქონდეს სამშობლო, თუ მას სამშობლო არა აქვს, მაშინ ვის და როდის უღალატა საქართველომ?

ჩვენ პირდაპირ ვაცხადებთ, რომ გვაქვს სამშობლო და ეს სამშობლო საქართველოა. ჩვენ პირდაპირ ვაცხადებთ, რომ საქართველოს უფლება აქვს დამოუკიდებელი იყოს და ამიტომ კიდეც გამოაცხადა დამოუკიდებლობა: ჩვენ პირდაპირ, მოურიდებლად ვამბობთ, რომ ვინც ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ იბრძვის და ჩვენს სამშობლოში ცხოვრობს, ის ჩვენი სამშობლოს მოღალატეა. მაგრამ რა უფლების ძალით შეუძლიან რაიმე ღალატზე ლაპარაკი იმას, ვისაც სამშობლო არა აქვს? მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ზემოხსენებული განცხადება, ინტერნაციონალს სამშობლო არა აქვს, მხოლოდ პოლიტიკური თვალთმაქცობა და მლიქვნელობაა. მათ აქვთ სამშობლო, ეს სამშობლო რუსეთია. მათ სძულთ ყველა, ვინც რუსეთს ასუსტებს, მათ მოღალატედ მიაჩნიათ ყველა, ვინც რუსეთიდან ჩამოშორებას მოისურვებს. პატრიოტულის თვალსაზრისით იქნება ეს ასეც იყოს, მაგრამ ინტერნაციონალის თვალსაზრისით კი ღალატზე ლაპარაკი მხოლოდ თვალთმაქცობაა. მაგრამ ამნაირადაც თუ შევხედავთ საქმეს, მაინც რუსეთის ქომაგებს არავითარი გასამართლებელი საბუთი არა აქვთ.

საქართველომ თავისი ვალი რუსეთის წინაშე პირნათლად შეასრულა. უკანასკნელ წუთამდე იგი მტკიცედ იდგა თავის პოზიციაზე. მაგრამ, მაშინ, როდესაც გახრწნილმა ბოლშევიკურმა რუსეთმა საქართველო ოსმალეთის კლანჭებში ჩააგდო, საქართველო იძულებული გახდა თავისი საკუთარი ძალღონით გამოეძებნა საშუალებანი ხსნისა. ხსნა ამ შემთხვევაში გერმანიის მფარველობაში ჰპოვა. ბოლშევიკურმა რუსეთმა ბათომი ოსმალეთს გადასცა, ბოლშევიკური რუსეთის ავანტიურისტულმა ქცევამ ოსმალეთის დესანტი მიიყვანა სოხუმში, ბოლშევიკური რუსეთი წინამორბედია საქართველოს ოკუპაციისა ოსმალეთის მიერ. და აი, მაშინ, როდესაც ბოლშევიკური რუსეთი მზად იყო ნაკუწნაკუწად დაეგლიჯა საქართველო, როდესაც ბოლშევიკური რუსეთი მუხანათურად, მოღალატურად ზურგიდან მახვილს გვარტყამდა, სწორედ ამ დროს გერმანია ენერგიულად ჩაერია საქმეში და, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ოსმალეთის შემოსევა მაინც აგვაცილა თავიდან. რა უფლების ძალით შეგვეძლო უარი გვეთქვა ამაზე მაშინ, როდესაც ბოლშევიკური რუსეთი ამავე დროს უნამუსოდ კარებს უღებდა ოსმალეთს.

ბ-ნ ისკანდერს ძალიან უკვირს, როგორ შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ჩვენ ოსმალეთის მიერ საქართველოს ოკუპაციას ხელს ვუწყობთო. დიახ, ხელს უწყობთ. საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობა იქნება ნიშანი მისი ოკუპაციისა ოსმალეთის მიერ. ყოვლად შეუძლებელია რუსეთისა და ოსმალეთს შორის დავა ასე ადვილად გათავდეს. ოსმალეთის ისტორიული მიზანია უზრუნველჰყოს თავისი თავი რუსეთის მომავალი თავდასხმისაგან. ოსმალეთსაცა აქვს თავისი ისტორიული მიზნები და ამ მიზნებს ჩვენ რაიმე დამაბრკოლებელი პირობა უნდა წამოვუყენოთ. რუსეთი აღარავითარ დაბრკოლებას არ წარმოადგენს ოსმალეთისთვის. რუსეთსა და ოსმალეთს შორის რომ არ აღმართულიყო საქართველო, რომელმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადა, თავისი პრეტენზიებით გამოვიდა საერთაშორისო ასპარეზზე და რომელმაც მოახერხა და ოსმალეთის მოკავშირენიც ჩაითრია საქართველოს საკითხში. ეს რომ არ მომხდარიყო, დღემდის ტფილისში ოსმალები ისხდებოდნენ და ბ-ნი ისკანდერიც, ალბად, სულ სხვანაირ კილოზე დაიწყებდნენ ლაპარაკს.

მაშინ ისინი იქნება ოსმალეთის უფრო ერთგული ქვეშევრდომები ყოფილიყვნენ, ვიდრე დამოუკიდებელი საქართველოსი. ასეთია ფსიქოლოგია გაბატონებული ერის წარმომადგენლისა, ან მისი მონა ლაქიებისა. და რომ ეს ასე იქნებოდა, ამას იმავე გაზეთის შემდეგ ნომერში დაბეჭდილი წერილი გვიმტკიცებს.

„ტრუდოვოე ზნამიას“ მეექვსე ნომერში დაბეჭდილია წერილი შემდეგის სათაურით: „უცნაური პრეტენზიები“. ჩვენ მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას შემდეგს სტრიქონებს: **„ჩვენ კარგად გვახსოვს აჭარის სკოლების ისტორია, როდესაც ქართველმა ნაციონალისტებმა (sic) გულაბდილად დაუწყეს ბრძოლა ოსმალურ სახალხო სკოლებს (sic) და დაიწყეს შემოღება ჭეშმარიტი ქართული სკოლებისა!“**

აი თურმე რანაირი დანაშაულობა ჩაუდენიათ ქართველ „ნაციონალისტებს“. აჭარაში ოსმალური სკოლის განდევნა და ქართული სკოლის შემოღება მოუსურვებიათ და ეს „ინტერნაციონალისტებს“ ნაციონალიზმად მიაჩნიათ.

კომენტარიები ამ ამონაწერს არ ესაჭიროება. ისეც ცხადია, რომ ამ ჟამად ჩვენ საქმე გვაქვს ძველი ტიპის ბიუროკრატთან, რომელიც მხოლოდ იმასა ცდილობდა, აჭარლები თავის დედა საქართველოს რაც შეიძლება დაჰშორებოდა. ჩვენ კი მოვახსენებთ გზააბნეულ ინტერნაციონალისტებს: აჭარლები ქართველები არიან და ჩვენ ყოველს ღონისძიებას ვიხმართ რომ ოსმალური სკოლები იქიდან განიდევნოს. ოსმალური სკოლების არსებობა აჭარაში ისეთი უსინიდისო ძალადობაა, რომ ამნაირი ძალადობის გამართლება არა ნაკლებ უსინიდისო პოლიტიკურ მოღვაწეს შეუძლია.

არ. ჯაჯანაშვილი

კვინჭლოიდან „დიდ ქალაქში“.

III. სარკმლის ყვავილები.

დიდი ქალაქის ვიტრინებით გამომზირალი
სარკმლის ყვავილნო მე მინახავს თქვენი თვალები.
ვით ჰარამხანის მოაჯირთან მონა ქალები,
მონა ქალები უნუგეშო ცრემლით მტირალი.
მანახავს, მაგრამ ჩამივლია გულგასენილი.
ოჰ, რა ლამაზად გებინდებათ ეგ წამწამები;
თქვენთან მოვსულვარ ნაღვლიანი და მოწყენილი,
დიდი ქალაქის ავხორცობით განაწამები.
წავალ და ვფიქრობ: მე აწ თქვენთან არ მოვბრუნდები,
სარკმლის ყვავილნო, შემოსილნო მწვანე ხავერდით.
ჩემო კარგებო ვინ მოგწყვიტათ ბუნების მკერდით,
ვინ გაგიყარათ ლამაზებო ბროლის ხუნდები?
თქვენ მათქმევინებთ ქებათ ქებას მიზანტროპ მგოსანს,
სარკმლის ყვავილნო! მეხსომებით აწ და მარადის,
თქვენ ამკობთ მონას, მიცვალებულს და გვირგვინოსანს,
თქვენ ხართ მშვენება და სიამე ბალ-მასკარადის.
სდგეხართ სარკმელთან ფერგამკრთალი, გულნაღვლიანი,
გაჰყურებთ ქუჩებს და ვიღაცას სულ ელით, ელით...
ვიდრე დის მოვა, გესტუმრებათ მგზავრი გვიანი,
მშობელ ღეროებს მოგაცლიან მსახრვალი ხელით.
განა მარტო თქვენ? ლოდინისგან ჩვენც ვილალებით.
ყველას მოგველის ერთი ბედი გამოუცნობი.
იწვიმებს ცრემლი ტკივილისგან დავსილ თვალებით,
შავ მასკარადში თან წაგვიყვანს ვიღაც უცნობი.

კოწია გამსახურდია

სატახტო ქალაქი 1918 წლის ივნისი.

სომხური პრესა.

სომხეთა კაბინეტის შედგენის გარშემო.

დღევანდლამდე სომხებს ვერ მოუხერხებიათ მთავრობის შედგენა. ქაჯაზნუნმა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა კაბინეტის შედგენის საქმე, ვერ შემოკრიბა თავის გარშემო დაშნაკცაკანების გარდა, სხვა პოლიტიკური პარტიების მოღვაწეები. „ჰორიზონის“ სიტყვით.

„ერთმა პარტიამ გადაჭრით თქვა უარი აქ, ტფილისში, კაბინეტში შესვლის თანხმობაზე. მეორემ ისეთი მოთხოვნილებანი წარუდგინა, რომ პირდაპირ სასაცილოა, ხოლო მესამემ, ეგრედ წოდებულმა სომხურმა სახალხო პარტიამ იმდენი გაბედა, რომ მეთაურობა რომ მას ჩაჰვარდნოდა ხელში, მოითხოვა, რომ კაბინეტი ქაჯაზნუნმა კი არა, არამედ სხვა ვინმე არა-დაშნაკცაკანმა შეადგინესო“.

სომხეთა კაბინეტის შეუდგენლობის თაობაზე სხვა და სხვა აზრი ტრიალებს. ჰფიქრობენ, რომ მთავარი მიზეზი ის არის, რომ ასეთ განსაცდელის დროს არავის უნდა პასუხისმგებლობა იკისროსო. მაგრამო, განაგრძობს გაზეთი:

„იქნებ სინამდვილეს ამგვარადვე შეესაბამებოდეს მეორენაირი აზრი, რომელიც ბევრს უტრიალებს თავში, რომ უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ არავის უნდა ერევანში გადავიდეს და თავისი თავი დაუკავშიროს საცოდავ რესპუბლიკას, ამ გაჭამხმარი ქვეყნის სვებედს; საბოლოოდ ძალა მეტად შემცირდებოდა, რომ სომხეთის მთავრობა ტფილისში დარჩენილიყო.

ამბობენ კია, დაშნაკცაკანების მეთაურობით შემდგარ კაბინეტში შესვლა პაპაჯანიანმა ვერ შეიძლო ერევანში სამოღვაწეოდ, აქაოდა დაშნაკცაკანებს არ შეუძლიანთ ოსმალეთის მთავრობასთან ერთად სომხის ერის ინტერესების შესაფერისი პოლიტიკა აწარმოვონო; მაშინ როდესაც იმავე პარტიის წევრმა და იმავე პირმა შეიძლო, მონაწილეობა მიეღო დაშნაკცაკანების მეთაურობით შემდგარ სამშვიდობო დელეგაციაში, რომელსაც მხოლოდ სომხის ერის ინტერესების შესაფერისი პოლიტიკის წარმების ძალა კონსტანტინეპოლში კი შესწევს.

ასე თუ ისე, სომხის ერს და სომხისვე კუთხეებს უმთავრობოდ დარჩენა არ შეუძლიათ. და თუ არავისა ჰსურს თუ არავის უნდა, თუ არავის შეუძლია სწიოს ეს მძიმე უღელი, მაშინ თვით დაშნაკცუთუნმა, თუნდაც მარტოდ-მარტომ, უნდა თავის მხრებით იტვირთოს მთელი სიმძიმე საკითხისა ამ მეტის-მეტად მძიმესა და მკაცრ პირობებში.

(სომხურმა) ეროვნულმა საბჭომ, მაშასადამე, დაე გაიგოს ყოველივე ეს, დარწმუნდეს უნდა, რომ ჩვენში სხვა პარტიას თავდადებისთვის ძალა არ შესწევს, და დაე ქაჯაზნუნს მიანდოს დაუყოვნებლივ შეადგინოს კაბინეთი, თავისუფლად, პერსონალ პრინციპებზე.

შეუძლებელია ასეთი მდგომარეობის მოთმენა. მთავრობა ეხლავე უნდა მოეწყოს და გადავიდეს ერევანში.

თუ არა და, თუ ეროვნული საბჭო საქმეს ახლავე გადაუღობავს რასმე წინ და შეუძლებლად გახდის როგორმე კაბინეთის დაუყოვნებლივ შედგენის საკითხს, იგი ასპარეზს უნდა მოშორდეს და მაშინ დაე ეროვნულმა, სომხეთა დედა ბუდემ, ეს დაუყოვნებლივ საკითხი თითონ გადასწყვიტოს თავისი ეროვნული საბჭოების საშუალებით,

—

„მშაკი“ სულ სხვანაირად უყურებს საქმეს. მისი აზრით ქართველები, სომხები და თურქები კვლავ უნდა დაუბრუნდნენ მთლიან ამიერკავკასიას, რომლის [illegible] ყველასთვის [illegible]დით ამ რამოდენიმე ხნის წინად, როდესაც თურქები ოსმალეთისაკენ მიაგორებდნენ „საერთო“ პოლიტიკის ურემს, სომხები რუსეთისაკენ და ქართველებს ხელ ფეხი გვქონდა შეკრული და ვერა გაგვეკეთებინა რა ჩვენს დედა-ქალაქში და ჩვენს მიწა-წყალზე უცხოელების ჯირითობის გამო.

„ჩვენი აზრით, იმ ჯოჯოხეთისებურ პირობებში, რომელშიაც ჩვენა ვართ, ჩვენ არ უნდა დავეშუროთ დამოუკიდებლობის გამოცხადებას და არც სომხეთის მთავრობის შედგენას.

ეს ნაადრევია და უსარგებლო.

სომხეთა ეროვნულ საბჭოს შეუძლია კვლავ მთავრობის ფუნქციები აწარმოვოს, ვიდრე პოლიტიკური ჰორიზონტი ცოტად მაინც გადაიწმინდებოდეს და ჩვენი მდგომარეობაც გამოირკვეოდეს. ხოლო „სომხეთა ქვეყნის მართვა-გამგეობისათვის იმავ საბჭოს შეუძლია დანიშნოს ერთი ვინმე საზოგადო კომისარი ან მმართველი.

ჩვენთვის, სომხებისათვის, ამ ჟამად ბევრად უფრო ხელსაყრელია და სასარგებლო, რომ ამიერკავკასიის ერთობის იდეა დავიცვათ და შევიტკბოთ. ეს მთლიანობა, უეჭველია რომელიმე ძლიერი ევროპის სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ იქნება და საშუალებას მისცემს სომხის ერს, რომ ძალა მოიკრიბოს და ძლიერ მეზობლებს არ ჩაეყლაპინოს“.

მთავრობაში

ვაკეთა მე 6 გიმნაზიამ შუამდგომლობა აღძრა 13,441 მანეთი გადასცენ მას რომელიც მწერალ კოვალმა გაფლანგა.

კავკასიის სინოდის კანტორამ პროტესტი განუცხადა მთავრობას ბოდბის მონასტრის მეტოქის საკათალიკოსო საბჭოსათვის გადაცემის გამო, რადგანაც ამ მეტოქეს არავითარი კავშირი არა აქვს ბოდბის მონასტერთან და შეადგენს რუსეთის ქონებასო.

დ. გ. აფხაზი დანიშნულია მთავარ გამგედ სალიკვიდაციო განყოფილებისა, ფინანსთა სამინისტროსთან რომ არსებობს, მინისტრის ამხანაგის უფლებებით.

—

მთავრობამ სამხედრო ინსტრუქტორს წინადადება მისცა, დააკმაყოფილოს რუსის ოფიცრები [illegible] მიხედვით, რომელსაც საქართველოს ერთგულება [illegible].

დუშეთის ამბები

28 ივნისს მთავრობის ჯარს უკვე მოუხდა ბრძოლა ბებრის ციხესთან (მცხეთაში) მეამბოხეთა მოწინავე რაზმთან. მეამბოხენი მყისვე გაიფანტნენ, როდესაც რამდენჯერ გაისროლა ჯარმა ზარბაზანი. ჯარი განაგრძობს წინ სვლას.

28 ივნისს მცხეთისკენ გაემგზავრა სოციალისტ ფედერალისტთა რაზმი. ამ რაზმის მზვერავებს მცხეთის მიდამოებში ხელში ჩაუვარდათ ერთი ოფიცერი გვარად ხაჩატუროვი, რომელიც გამოტყდა, რომ მეამბოხეებს მეთაურობდა. ტყვე ჩვენმა რაზმმა გადასცა სახალხო გვარდიის უფროსს ვ. ჯუღელს.

—

გუშინ ნაშუადღევის 12 საათზე, სასახლეში აღმასრულებელ კომიტეტში დატუსაღებული ჩამოიყვანეს პორუჩ. ხაჩატუროვი, დუშეთის მაზრის ბოლშევიკთა წინამძღოლი, რომელიც თავის თავს მემარცხენე სოც.-რევოლიუციონერს უწოდებს,

—

ივნისის 28-ს ტფილისში მიღებულ ცნობებით ჩვენმა რაზმმა დაიჭირა ბებრის ციხე მცხეთის მიმართულებით, ორი ტყვიის მფრქვეველი ხელთ ჩაიგდო და ასი ვინტოვკა. ჩვენ არავითარი ზარალი არა გვაქვს.

ოსმალეთის დესანტი.

გენ. მაზნიაშვილი სოხუმიდან იტყობინება, უკვე შეტაკება მქონდა ოსმალეთის დესანტთან, დიდი ზიანი მივაყენე და ამ დღეებში სრულ ლიკვიდაციას მოვახდენო.

—

ივნისის 27-ს ღამით მთავრობას ცნობა მოუვიდა სოხუმიდან, რომ მდ. კოდორთან, სოხუმის სამხრეთით ოსმალოებმა დესანტი გადმოსხეს, 800 კაცამდე. რაზმს სათავეში უდგას თავადი ალექსანდრე შერვაშიძე, რომელმაც განაცხადა ოსმალოებმა ჯარი გამომატანა აფხაზეთის დასაცავად ბოლშევიკებისაგანო.

აფხაზთა სახალხო საბჭომ პროტესტი განაცხადა მტრის ჯარის გადმოსხმის გამო და ოსმალეთის სამხედრო უფროსს შეუთვალა; სოხუმის ოლქში ბოლშევიკები აღარ არიან და აფხაზეთის ტერიტორიაზე ამ ჟამად მხოლოდ აფხაზთა რაზმები მოქმედებენ საქართველოს რესპუბლიკის ჯართან ერთადო.

ამასთანავე აფხაზთა სახალხო საბჭოს დახმარება სთხოვა საქართველოს მთავრობას.

საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა ყოველი ღონე მიიღოს და შეიარაღებული ძალით დაიცვას აფხაზეთი.

ამასთანავე მთავრობამ მიმართა გერმანიის სადიპლომატო წარმომადგენლებს და მიუთითა ოსმალეთის ჯარმა კიდევ დაარღვია რესპუბლიკის საზღვრებიო.

გერმანიის წარმომადგენლებმა თავს იდვეს მოლაპარაკება ოსმალეთის სამხედრო უფროსთან.

ოსმალები ადერბეიჯანში

(ივნისის 26—27 ამბები).

ორი დღით ბრძოლა შეწყდა: დაასაფლავეს გეოკჩაის ბრძოლაში მოკლულნი. ორი დღის შემდეგ განახლდა საარტილერიო სროლა სომხურ სოფლების ხარმადიონ—უშტალის ფრონტზე. როგორც სჩანს ბაქოს არტილერიას დიდძალი ყუმბარა აქვს.

ოსმალოს ჯარში სიცხის, კარგი წყლის უქონლობის და სურსათის ნაკლებობის გამო კუჭის ავადმყოფობა გაჩნდა. იყო რამდენიმე შემთხვევა ხოლერით ავადმყოფობისა.

აქსტაფიდან ოსმალოს ჯარის ახალი ეშელონები მოვიდა არტილერიით და სატეხნიკო ქონებით.

ქიურდამირის მიმართულებით მდგომარეობა უცვლელია. ქიურდამირი—სოფელი და სადგური, რომელიც ბაქოს ჯარმა აიღო ივნისის 18-ს, კვლავ მის ხელშია, მთელი მუშაობა 18—33 წლის მუსულმანთა მობილიზაციისათვის სამხედრო უფროსის სამართველოს დაეკისრა ოსმალო ოფიცრების ზედამხედველობით. ამ ხნის მუსულ-

...ები, რომელნიც ქალაქში სცხოვ-
...მენ, ვალდებული არიან სამხედრო
...ულოსთან გამოცხადდენ რეგისტრა-
...ისათვის ვინც არ გამოცხადდება,
...რში იქნება გაწვეული და ფრონ-
...ე გაგზავნილი გაუსინჯველად. რკი-
... გზის სადგურებზე, რომელიც
...ონტს ეკვრის, ნაბრძანებია არ მიჰ-
...ონ ბილეთები ტფილისის მიმარ-
...ლებით აღნიშნული ჰასაკის მუსულ-
...ებს.

—

...უკანასკნელი ცნობებით ოსმალოე-
... გარდამწყვეტ შეტევას მოაწყობენ, ...მ შემახის გზატკეცილზე გამოვი-...ენ და შემდეგ ბაქოს ალყა შემო-...ტყან.

...ბაქოს ფრონტზე ივნისის 27-ს მო-...და მოხალისე მუსულმანთა რაზმი ...ამისა და ლოვლიარიდან. ეს მოხა-...ეები წინად მალალიშვილის რაზმ-... იმყოფებოდნენ, ხოლო შემდეგ ...ნი აქედან გაიწვიეს.

—

...რეშისა და გეოქჩის მაზრებში მო-...დენ ოსმალეთის ჟანდარმერიის ...ეცრები მუსულმანთა რაზმეის მო-...წყობად ოხმალოს ჯარის დასახმა-...ლად.

—

...მუსულმანთა კორპუსის რუსის ოფი-...რებს, რომელნიც ადერბეიჯანში ჯა-...ში რჩებიან, დაევალათ დაუყონებ-... შეისწავლონ თათრულ თურქული ...ები.

—

...განჯის გუბერნატორად ნური-ფა-...ს განკარგულებით დაინიშნა ყო-...ლი სამხედრო ტოპოგრაფი ვექი-...ოვი, ვიცე გუბერნატორად ოსმალო ...ოლკოვნიკი, რომელიც უკვე შეუდგა ...ანდარმერიის ორგანიზაციას. საგუ-...ერნიო კომისარს ზიათხანოვს სახელ-...ოდება გამოუცვალეს. ის იწოდება ...ი დიდებულესობის სულთანის რწმუ-...ნებულად.

—

...განჯის ქალთა გიმნაზიის შენობაში, ...ალაქის სომხურ ნაწილში რომ არის ...მთავრობის საერთო კანცელარიები ...იქნება მოთავსებული. საგუბერნიო ...საქართველოს ნაწილი ოსმალეთის ...ჟანდარმერიისათვის არის დანიშნული.

ომის დეპეშები

დასავლეთის ფრონტი.

ბერლინი. ივნისის 28. სომის ორ-...ვე ნაპირას ინგლისელი და ფრან-...ები მოქმედებენ. სხვა სექტორებში ...ერსა და მარნას შუა საღამოთი ...არტილერიო ცეცხლი გაძლიერდა. ...ეს დილით უაღრესად გაძლიერდა ...ერმა ცეცხლი ლისის ორსავე ნაპი-..., ბაილეილთან და ენის სამხრეთით ...ნი არტილერიაც ენერგიულად უწევ-... წინააღმდეგობას ზოგიერთ ნაწილ-... ქვეითა ორ ჯარებს შორის ბრძო-... იყო. მფრინავებმა გააძლიერეს ...მოქმედება და სასტიკი საჰაერო შეტა-...ებიც მოხდა. ჩვენმა მფრინავებმა ...მინ მტრის 35 ჰაეროპლანი ჩამოაგ-...ეს და ერთი საჰაერო ბალონი,

ბერლინი. ივნისის 28 საღამოს ცნო-..., ლისის ჩრდილოეთით და ენის სამ-...ხრეთით ჩვენ მოვიგერიეთ მტრის იე-...იშები.

პარიზი. ივნისის 27 ქვეითა ჯარის ...მოქმედება არ ყოფილა. დრო გამოშვე-...ით საარტილერიო სროლა იყო მონ-...დიერსა და უაზას შუა და ენის სამ-...ხრეთით. სხვა ფრონტზე საგულისხმო ...ფერი მომხდარა.

პალესტინის ფრონტი.

სტამბოლი ივლისის 28 ადგილ-...ბრივ მტერი საარტილერიო ცეცხლ-...ით სხვევს ჩვენს ხაზებსა და სამხედ-...რო დაწესებულებებს, ნურეში რომ იმ-...ყოფება. იერიხონის რაიონში მძიმე ...ზარბაზნებიდან ესროდით მტრის ბა-...ნაკს. საჰაერო ბრძოლა იყო და ჩვენ ... ჩამოვაგდეთ მტრის ერთი ჰაეროპლა-... მზვერავი დავატყვევეთ. მტრის ...ორე ჰაეროპლანი იძულებული იყო ... დაშვებულიყო. აჯანყებულთა იე-...რიშები მაგეზისა და მაონს შუა მოვი-...გერიეთ. სხვა ფრონტზე ახალი არა-...ფერი მომხდარა.

კიტა აბაშიძე

...დღეს შესრულდა ექვსი თვე, რაც ...ი სოფელს გამოესალმა ჩვენი ...ოლი ამხანაგი, ჩვენი პარტიის ... ძველი მუშაკთაგანი კიტა აბა-...ძე.

...დღეს, როდესაც ასე საჭიროა გა-...ვდილი და გაბედული პოლიტიკუ-... მოღვაწე, როდესაც ჩვენი ნორჩი ...რესპუბლიკა მოითხოვს დიდის ნიჭითა ... ცოდნით აღჭურვილ ადამიანებს, ...ლი გრძნობთ, რომ ასე უდროოთ დაჰკარგეთ მალული ნიჭით დაჯილდოვებული პიროვნება, რომელსაც ბევრის გაკეთება შეეძლო კიდევ მომავალში.

როდესაც კიტა აბაშიძის შესახებ მიხდება ხოლმე ლაპარაკი ანუ წერა, უსათუოდ გამახსენდება მისი მეგობარი, ჩვენი პარტიის ბელადი, გმირად დაბადებული პიროვნება გიორგი ზდანოვიჩი (გ. მაიაშვილი).

გიორგი და კიტა საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწენი იყვნენ, რომელთა მოქმედება და შრომა ერთსულოვნობით, სოლიდარობით განისაზღვრებოდა, ხასიათდებოდა; ერთმანეთს შეავსებდნენ, ურთიერთის მოქმედებას—ერთ ჩამოყალიბებულ და დამთავრებულ საქმედ ჰქმნიდნენ.

გიორგი—განსახიერებული ცოდნა და გამოცდილება იყო, კიტა-კი უფრო გრძნობით ცხოველი მგოსანი—პოეტი თუ პირველის აზრი და გრძნობა გატაცებული იყო სოციალური პოლიტიკური და ეკონომიური საკითხებით —მეორე უფრო ფილოსოფიურ, რელიგიურ და ლიტერატურულ საკითხებს აქცევდა ყურადღებას.

სადაც ცოდნა სდუმს, იქ გრძნობა მეტყველებს. სადაც გრძნობა ვერ შეძლებს მოვლენათა გამოსახვას, იქ ცოდნას უკავია პირველი ადგილი. ჭეშმარიტად გიორგი და კიტა—ეს ორი გმირი, რომელთა არსებაშიაც, ორი დიდი თვისება, ორი ძლიერი სული სუფევდა, ერთიმეორის შემავსებელი, ერთმანეთის დამხმარე. ორივე შესანიშნავი ორატორი—მჭერმეტყველი, —ორივე საუცხოვო მწერალი—ლიტერატორი.

მეგობრები, ერთი მიმართულების თაყვანისმცემელი—ერთსულოვნად და გულწრფელად ემსახურებოდენ თვისი ერის აღორძინების საქმეს,—თავგამოდებითა და გულ მოდგინეთ იცავდნენ მშრომელი ხალხის ინტერესებს და ბედმა მათი განშორება არ მოინდომა.

ულმობელმა, შეუბრალებელმა სიკვდილმა უდროოთ გამოგვაცალა ორი საუკეთესო მამულიშვილი, ორი საუცხოვო ამხანაგი, მაშინ, როდესაც მათი სიტყვა და საქმე ასე ესაჭიროებოდა ერს. ჩვენს ქვეყანას.

კ. აბაშიძე.

ორ გვარი ტრაგედია

(წარმოთქმული ბაქოში ... 21 კიტა აბაშიძის სამოქალაქო პანაშვიდზე).

როგორც უმანკო ქალწული უხეშ, ტლანქ, უგულო და მხეცურ ჟინით შეპყრობილ ადამიანის ხელში იხნიქება, წელში წყდება, სული ეხუთება და ძლიერი ძალის მიზეზით უმანკოებას კარგავს, სწორედ ასე, აბუჩად აგდებული, ფეხ ქვეშ გათელილი, ლეჩაქ მოხდილი და დამცირებული მისი ქვეყანა, მისი სამშობლო საქართველო მთელი საუკუნის განმავლობაში სულშეხუთული, წელში გაწყვეტილი და სხვის საობრად გადაქცეული იყო; ყოველ-გვარი უფლება წართმეული ჰქონდა. ერი მისი არ იყო ცნობილი ერთეულ, თვითგამორკვეულ ერად, მას საკაცობრიო ფერხულში ალაგი არა ჰქონდა მიჩენილი.. წამებული იყო იგი, დევნილი, სისხლიდან დაწრეტილი და... ამ გვარად ახლოვდებოდა თან-და-თან დრო უკანასკნელი გედური სიმღერის მოსმენისა მის საყვარელ სამშობლოს მიერ.

ყოველივე ამას უაღრესად გრძნობდა ჩვენი ძვირფასი ამხანაგის კიტა აბაშიძის ღრმად მგრძნობიარე გული და, თუ ვინმეს უფლება ჰქონდა ეთქვა —ჩემი სამშობლო საქართველო ძლიერ მიყვარდა, მას ვანაცვალე ყოველივე პირადული, ყველაზე პირველად ამის თამამად და გაბედვით წარმოთქმის უფლება ეკუთვნოდა ჩვენი პარტიის ერთ მესვეურთაგანს და ძვირფას ამხანაგს კიტას. როგორც ვაჟკაცი თვის სატრფოს თავს ევლება და მის სიწმინდეს დარაჯად უდგას, ისე ამხ. კიტა თავს დასტრიალებდა თავის საყვარელ სამშობლოს, უვლიდა მას, პატრონობას უწევდა და მტრის თოხრებისაგან მედგრად იცავდა. თვალი გადაავლეთ მის განვლილ ცხოვრების ისტორიას, მოიგონეთ მისი გატაცებული, ღრმა შინაარსიანი, დაფიქრებული, მჭერ-მეტყველური და გაბედული სიტყვები სხვა და სხვა დროს სამშობლოს და ერის დემოკრატიის დასაცავად წარმოთქმული და თქვენთვის ყველაფერი ცხადი იქნება. ჭეშმარიტად ნათელი პიროვნება იყო კიტა: სწორი და პირ-უთვნელი ადამიანი, გარკვეული იდეალის მატარებელი, რომლის უპირველესი საზრუნავი სამშობლო და ერის დემოკრატია იყო. იგი იყო სწორი, სადი ნაციონალისტი და ჭეშმარიტი სოციალისტი! მასში ისევე, როგორც ჩვენი პარტიის ბელადის არჩილ ჯორჯაძის პიროვნებაში, შედუღდა ორი საკაცობრიო ცნება და, როგორც არჩილი, ისე კიტა დაადნო კიდევაც ერის დემოკრატიის სამსახურმა.

ამგვარად ამხანაგ კიტას პირველი ტანჯვა იყო ტანჯვა ერის და მისი დემოკრატიის დამცირებით გამოწვეული! ეს იყო პირველი ტრაგედია მისი სულისა.

მაგრამ, სამწუხაროდ და სავალალოდ, მისთვის არსებობდა აგრეთვე მეორე გვარი გარემოებით გამოწვეული სატანჯველი და ეს უკანასკნელი არა ნაკლებ უშხამავდა მას სულს და უმოკლებდა სიცოცხლის დღეებს!

რევოლიუციამ რუსეთში მაშინ იფეთქა, როდესაც ამხ. კიტა დაუძლურებული სარეცელს იყო მიკრული. თავისუფლება გამოეცხადა ყველას. შეკრბენ და დაირაზმენ სხვა და სხვა პარტიები, გააჩაღეს მუშაობა, ჩაებნენ ცხოვრების საერთო ფერხულში. ჩვენი პარტიაც უმალვე ლეგალურ მუშაობის წარმოებას შეუდგა. როგორც ტფილისში, ისე ქუთაისში, როგორც დაბა-ქალაქებში, ისე სოფლებში ჩვენებმა გააჩაღეს დაუზოგველი მუშაობა; გავიდნენ ხალხში, უქადაგებდენ, აცნობდენ ჩვენი პარტიის ვინაობას, მის პროგრამას და ერთი სიტყვითაც კი არ შეურაცხყოფდენ მოწინააღმდეგეთ; აღიარებდენ, რომ საჭიროა დღესვე გამოცხადდეს რუსეთში ფედერატიული რესპუბლიკა, რომელსაც მხოლოდ ერთს შეუძლია ხსნა რუსეთისა სრულის დაღუპვისა და დაქუცმაცებისაგან; საჭიროა არის საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია! და ჩვენი ავადმყოფის სული იმეგდა და იხარებდა ამ მოვლენით; იგი თითქოს მოჯობინებას გრძნობდა.

მაგრამ, ამხანაგებო, ავადმყოფის სიხარული ხანმოკლე გამოდგა. პარტია, რომელიც მან და მისმა მეგობრებმა ერის დემოკრატიის საკეთილდღეოდ დაარსეს, დევნილ იქნა; წითელი დროშა, პარტიის ემბლემა, და ბელადების სურათები გათელილ და შეურაცხყოფილ იქმნენ ქუთაისში და ზოგიერთ სხვა დაბა-ქალაქებში.

ეს იყო ამხ. კიტას მეორე ტანჯვა, მეორე უდიდესი ტრაგედია მისი სულისა! ასეთი ორგვარი ტანჯვა, ასეთი ორგვარი ტრაგედია ახლდა თან მის ცხოვრებას!

აქ მსურს, სულ პატარა, ეპიზოდიური ხასიათის მოხსენება გავაკეთო, რომელიც ნათლად დაგვანახვებს, თუ რა ზომის სულიერ ტანჯვას განიცდიდა ჩვენი ძვირფასი ამხანაგი იმის გამო, რომ ავადმყოფობა ხელს უშლიდა საერთო მუშაობაში მონაწილეობა მიეღო.

საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობის დასრულების შემდეგ, ჩვენი პარტიული ამხანაგები წითელი დროშებით გაემგზავრენ ქართველთა პანთეონისაკენ. პროცესიას მიუძღოდა ჩვენი ჰპდარა ბელადი გიორგი ლასხიშვილი. მიუტანეს ძვირფას არჩილს ტყვეობიდან დახსნილ-განთავისუფლებული საქართველოს დროშა, მიესალმენ და აზარეს: განისვენე ტკბილად ძვირფასო ბელადო, შენი წინასწარმეტყველება ახდა, „შეთანხმება მაინც შესაძლებელი შეიქნა", საქართველო გაერთიანდა და როგორც ერთეული თვითგამორკვეული ერი, ისე წარსდგება კაცობრიობის წინაშე.

ამის შემდეგ ამხანაგები გაემგზავრნენ ავადმყოფ კიტას სანახავად. დელეგატები შევიდნენ ავადმყოფთან, სხვები ქუჩაში იცდიდნენ. მიესალმენ ძვირფას ავადმყოფს: „აქ, ქუჩაში, ამხანაგები გელოდებიან. საქართველო შეერთდა, მოჯობინდი, ძლიერ ავადმყოფობას, ადგე სამუშაოდ, ეხლაა საჭირო შენი გონივრული მუშაობა და მჭერმეტყველური სიტყვები!" ავადმყოფ ამხ. კიტამ, თვალებზე ცრემლმორეულმა სუსტად და უნუგეშოდ ხელები ჩაიქნია! თითქოს გრძნობდა გაწირებული, რომ ჩვენ ვიყავით წამოსულნი არჩილ ჯორჯაძედან, რომელიც უთვლიდა: მომწყინდა ცივ მიწაში მარტოდ ყოფნა, იქნებ შენ მაინც მინახო ... სულის მეგობაროვო! და აღსრულდა კიდევაც! კიტამ ინახულა არჩილი!

ყველაზე უფრო დასაღონებელი ის არის, რომ იგი მოკვდა მაშინ, როდესაც მისი იდეები იმარჯვებენ, როდესაც ცხოვრება თანდათანობით ისე ეწყობა, როგორც მას და არჩილს სწადდათ. ასიჩი მოკვდნენ, მაგრამ იმათი იდეები იმარჯვებენ და მალე დადგება ის დრო, როდესაც წითე-



პრაპორშჩიკი ამხ.

შალვა ვაშაძე

ვაშნა...თან ბრძოლაში დაკარგული.

ლის დროშებით შევალთ ქართველთა პანთეონში, მივალთ იმათ საფლავებთან და ჩავსძახებთ: იმეებდეს და იხარებდეს თქვენი სული ძვირფასნო მოძღვარნო, თქვენმა იდეებმა ფრთა შეისხეს და გამარჯვება მოიპოვეს!

ლადო გეგეჭკორი.

კირიონის გარდაცვალება

განსვენებული კათალიკოსის კირიონის ცედარი გუშინ დილით არ მოუსვენებიათ მარტყოფის მონასტრიდან რაღაც მიზეზისა გამო. ცხედარის დამკრძალველ კომისიის განკარგულებით მოაცვენებენ საკათალიკოსო სასახლის ეკლესიაში. დაკრძალვის დღე ჯერ არ არის გადაწყვეტილი. არც ადგილია გამორკვეული სად დაკრძალონ განსვენებული. რადგანაც კათალიკოსები მცხეთის საკრებულო ტაძარში იკრძალებოდნენ წინად, ბევრი იმ აზრის არის რომ არ შესცვალონ ძველადვე დადებული წესი, ზოგი ამის წინააღმდეგია იმ მოსაზრებით, რომ ამჟამად მცხეთა გარშემო ბრბოთა არეულობაა და ... შეგვიძლის ხელსაო ამიტომ უმჯობესია მიაჩნიათ კათალიკოსი სიონის ტაძარში დაკრძალონ.

ანჩისხატის სამრევლო საბჭოს დეკ. ნ. თალაქვაძის თავმჯდომარეობით ივნისის 28-ს საღამოთი თათბირი ჰქონდა განსვენებულ კათალიკოსის კირიონის დაკრძალვაში მონაწილეობის შესახებ. თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო ტრაგიკულად გარდაცვალება კათალიკოსისა და წინადადება მისცა კრებას განსვენებულის ხსოვნისათვის პატივი ეცათ ფეხზე ადგომით. წინადადების მიღების შემდეგ საბჭომ ითათბირა ანჩისხატის სამრევლომ როგორი მონაწილეობა მიიღოს განსვენებულის დაკრძალვაში. დიდი ხნის თათბირის შემდეგ საბჭომ დაადგინა სამრევლოს სახელით განსვენებას დაესწროს მთელი საბჭო. წარმომადგენლებად არჩეულ იქმნენ: დეკ. ნ. თალაქვაძე, ე. დ. ... და გ. ნი-პაველიაშვილი. კრების დასასრულ საბჭომ დაადგინა შეუდგნენ შეკრებას საჭირო თანხისას და წინადადება შეიტანონ სადაც ჯერ არს—დაარსებულ იქნეს განსაკუთრებული ფონდი, რომელიც უნდა მოხმარდეს განსვენებულის სამეცნიერო ნაშრომების გამოცემას,

—

გუშინ, 29 ივნისს, დილით 12 საათზე და ნაშუადღევის 1 საათზე, სიონის საკრებულო ტაძარსა და ანჩისხატში გადახდილ იქნა პანაშვიდი განსვენებულ კათალიკოსის კირიონის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს ორივე ტაძარში ბევრი ხალხი დაესწრო. სიონის ტაძარში პანაშვიდი საღამოს 7 საათზე იქმნა გადახდილი მრავალის პატივისმცემელთა თანადასწრებით.

—

კათალიკოსის გარდაცვალების გამო თელავიდან მიტროპოლიტ ლეონიდეს ასეთი შინაარსის დეპეშა მოუვიდა: „ალავერდის სამწყსო და სამღვდელოება ჰგლოვობს და სტირის კათალიკოს კირიონის უდროოდ გარდაცვალებას, რომელიც იყო მშობლიურ ეკლესიის თავისუფლებისათვის მებრძოლი, და ევედრება ღმერთს განუსვენოს სულსა მისი უწმინდესობისას. ეპისკოპოსი პიროსი".

—

კირიონ მეორის გარდაცვალების გამო როგორც მოსაყდრეს, აგრეთვე საკათალიკოზო საბჭოს სახელობაზე მოდის უამრავი სამგლოვიარო დეპეშა და წერილი.

ახალი ამბავი

✦ **კიტა აბაშიძის პანაშვიდი. დღეს კვირას დიდუბეში გადახდილი იქნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი ამხანაგის კიტას სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება ნაშუადღევის პირველის ნახევარზე.**

✦ **საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს.** საბჭოს წევრის ალექსანდრე ახმეტელის შეკითხვა. ჩვენი საზოგადოება დარწმუნებულია, რომ დუშეთის მაზრაში დაწყებული ანარქია გამოწვეულია ადმინისტრატორების უთავბოლო მოქმედებით ერთის მხრივ და რეაქციონურ პიროვნებების მუშაობით მეორე მხრივ, იცის თუ არა ეს მთავრობამ და თუ იცის რა ზომების მიღებას ჰფიქრობს დამნაშავეთა წინააღმდეგ. ამის გარდა ბოლშევიკების მეთაურობით თავისუფლად განაგრძობენ საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ აგიტაციას და ხალხს მოუწოდებენ იარაღით ხელში დაიცვას ჩვენი დამოუკიდებლობა იცის თუ არა ეს მთავრობა და თუ იცის საზომებას მიღებას ჰფიქრობს ხსენებულ პირების წინააღმდეგ.

✦ **საქართველოს მოხელეთა კავშირი.** დღეს, ივნისის 30, ქართულ კლუბში, დანიშნულია საგანგებო კრება, რომელზედაც განსახილველია რამდენიმე საინტერესო საკითხი მათ შორის საბჭოს წევრთა ამორჩევა. მოწვეული არიან ამხანაგები პროვინციიდგანაც. იმედია რომ კრება მრავალრიცხოვანი იქნება.

✦ **დაკარგული მეომარი.** 10 აპრილის სოფ. კახთან (ოზურგეთის მაზრაში) ბრძოლის დროს დაიკარგა ბათუმის პარტიზანული პოლკის პრაპორშჩიკი შალვა ვაშაძე. ამხანაგი ვაშაძე ერთი ჯარის კაცის თანახლებით გაგზავნილი იყო პოზიციების დასაზვერად. უმორჩილესად ვთხოვთ ყველას, ვინც რამე იცის ამხ. ვაშაძის შესახებ აცნობოს დაწუხრებულ დედას სოფიო ვაშაძისას ქ. ქიათურაში.

✦ **გაზ. „ალიონი"** გაზეთი ალიონი, რომელიც დროებით იყო შეჩერებული ტეხნიკურ მიზეზების გამო ჯერ-ჯერობით გამოვა კვირაში ერთხელ ორშაბათობით 8 ივლისიდან.

✦ **გერმანელი ოფიცრები ქართულ მუზეუმში.** გუშინ ივნისის 29-ს 11 საათზე გერმანელი ოფიცრები ეწვიენ ქართულ საისტორიო საეთნოგრაფიო და წერაკითხვის საზოგადოების მუზეუმებს. სტუმრებმა დიდის ინტერესით დაათვალიერეს მუზეუმები. დიდად მოეწონათ ქართული ორნამენტალური კულტურა, ქართული საეკლესიო და ხელთნაწერები, ახალ მხატვრებში განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდნენ გ. მ. თოიძისა და გაბაშვილს.

✦ **ქართ. ტეხნ. საზოგად. სექციათა კრება.** ქართულ ტეხნიკურ საზოგადოებასთან არსებული ტერმინოლოგიის და სამთა-მადნო სექციების კრება შესდგება ორშაბათს ივლისის 1-ს ფრეილინის ქ., № 11, საღამოს 7 საათზე. განსახილველია მეტად საყურადღებო საკითხები.

✦ სოხუმის მიმართულებით, როგორც ივნისის 28-ს მოსულ ცნობებიდანა სჩანს მშვიდობიანობაა.

✦ **მტკვარში დარჩობა.** გუშინ, ივნისის 29-ს ვერის ხიდზე მრავალ გამვლელთა თვალწინ ერთი რუსის ქალი ასე 29—30 წლისა გაჩქარებით ავიდა ხიდის მოაჯირზე და პირდაპირ გადაეშვა მტკვარში. მალე შეჰქმნეს ხმაურობა ... მიშველებოდნენ საწყალ ქალს, ქალი დიდს ხანს ებრძოდა წყლის ტალღებს, ხიდიდან ორას საჟენზე ქალი კიდევ არ იყო ჩაძირულ მალე შეაცურეს მტკვარში ნავი დახრჩობას გადაარჩინეს საზოგადოების მენავეებმა ვლადიმერ კუპამ და გრიგოლ ივანაშვილმა. მენავეებმა წამოუსწრეს ქალს გადმოიყვანეს ნავში და ნაპირზე მშვიდობიანად გამოიტანეს. ქალს მხოლოდ ფეხი ალმოაჩნდა ნაღრძობი, როგორც თვით განაცხადა იგი აიძულა ამ უბედურების ჩადენა მატერიალურმა ხელმოკლეობამ. გადარჩენილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ **ქალაქის საბჭოს შემდეგი** მორიგი კრება დანიშნულია ორშაბათს, ივლისის 1-ს. საბჭოს სხვათა შორის განსახილველად აქვს ამა მიმდინარე წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვა და სხვ; სულ საბჭოს განსახილველად აქვს 17 მიმდინარე საკითხი.

✦ **გაგრის აღება.** ჩვენმა ჯარმა და სახალხო-გვარდიელებმა ბრძოლით აიღეს გაგრა. სოხუმიდან გაგრამდე ბრძოლაში ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა.

✦ **ჟურნალისტთა და მწერალთა კრება** დღეს სასახლის თეთრ დარბაზში 7 ს. დანიშნულია ჟურნალისტთა და მწერალთა კრება. კრების საგანია 1) ქართული [illegible] დაარსება [illegible] და მთავრობასთან, 2) [illegible] და სხვა აუცილებელი საკითხი. ქართველი მწერლების და ჟურნალისტების დაესწრება.

✦ **მკვლელობა.** ივნისის 28 ს. მიხეილის ქუჩაზე № 118 ეზოში უცნობ ბოროტმოქმედებმა მძიმედ დასჭრეს თავში „ყაზბეგი"-ს სასტუმროს პატრონი ლ. ლეჟავა, იქვე მსუბუქად დასჭრეს პორუჩ. ს. ნეჟინცკი. ლეჟავა საავადმყოფოში გარდაიცვალა, ბოროტმოქმედებმა მოასწრეს და გაიქცნენ

საქ. სოც.-ფედ. პარტიაში

დღეს საღამოს რვა საათზე ფრაქციის ბინაზე (სასახლეში) გაიმართება მთავარ კომიტეტის სხდომა.

—

მუშათა კავშირის გამგეობა სთხოვს იმ ამხანაგებს, რომელთაც წაიღეს ფურცლები შემოწირულების შესაგროვებლად გაზეთის სასარგებლოდ წარმოადგინონ ანგარიში 3 ივლისამდე. პროვინციელ ამხანაგებს სთხოვს დაეხმარონ გაზეთის გავრცელებაში და მის მატერიალურათ უზრუნველყოფაში.

შემოწირულება მიიღება შემდეგს მისამართით: სახალხო საქმის რედაქცია ვაჩ. კოტეტიშვილის სახელზე. გაზეთის პირველი ნომერი გამოვა ივლისის 8.

—

კუკიის უბნის კომიტეტის წევრთა სასწრაფო კრება დანიშნულია კვირას ივნისის 30 სასულიერო სასწავლებლის შენობაში ჩერქეზიშვილის ქ. № 22 დილის 11 საათზე. პრეზიდიუმი სთხოვს ყველა წევრს აუცილებლივ გამოცხადდეს კრებაზე, ამხ. მაიაურაძეს და სარევიზიო კომისიის წევრთაც ვევედრებათ კრებაზე დასწრება.

—

ტფილისის კომიტეტის წევრთა კრება დანიშნულია ორშაბათს ივლისის 1-ს საღამოს სრულ 6 საათზე, ყოველი წევრი ვალდებულია გამოცხადდეს კრებაზე ვინაიდან ფრიად მნიშვნელოვანი საკითხებია განსახილველი.

—

დღეს, დილის ათი საათისთვის, პარტიულ კლუბში უნდა გამოცხადდეს ყველა ტფილისში მყოფი რაზმელი, შეიარაღებული, საიდანაც დროშებით გაემართებიან დიდუბის ტაძრისკენ, ამხ. კიტა აბაშიძის პატივსაცემლად

—

დღეისთვის დანიშნულია ავლაბრის სარაიონო კრება, კიტა აბაშიძის პანაშვიდის გამო არ შესდგება. კრების დღე შემდეგ იქნება გამოცხადებული.

—

კვირას ივნისს 30 დილის 10 საათზე პარტიულ კლუბში დანიშნულია სოციალ.-ფედერალისტთა ფარმაცევტთა საერთო კრება. მოხდება ძველი გამგეობის მოხსენება და ახალი გამგეობის არჩევა. ამხანაგებს ვთხოვთ არ დაიგვიანონ.

ამხანაგ მაკარ შელეგიას ხსოვნას.

პორუჩიკი მაკარ შელეგია ს. ჯუმათიდან დაბრუნებულს შემხვდა ქ. ლანჩხუთში.

ძალიან სასიამოვნოდ დარჩა ჩემი ნახვა, თან გაიკვირა თოფქვეშ რომ დამინახა, ღიმილით შემეკითხა:

— ეგ რა ამბავია, შენც ბრძოლის ველისკენ გამოსწიე?

— როგორც მხედავ, ჩემო მაკარ მეთქი და დავიწყე მეგრელების საყვედური, თუმცა ღმერთმა იცის, არც გურულების ქება მითქვამს. მეორე მისი ამხანაგი გურული იყო, შტაბს-კაპიტანი. ბევრი ვიოხუნჯეთ, სხვათა შორის ამ კაპიტანს ძალიან ეწყინა, როცა ვუამბე, ს. ჯუმათში, სადაც იდგა ბათომის პარტიზანულ პოლკის შტაბი, აპრილის, 10-ს საათნახევრის განმავლობაში ორმოცდაათამდე პოზიციიდან გამოქცეულ გურულ ახალგაზდას იარაღი აჰყარეს თქო.

— ღმერთმა ისინი შეარცხვინოს,— ამოოხვრით სთქვა კაპიტანმა.

ამის შემდეგ ვუამბე მათ ჩვენი პოლკის დისციპლინის ამბავი: ყველა შეგნებულად, სიყვარულით ასრულებს საქმეს და არა ბრძანების გამო.

ორივემ მომიგეს: ჩვენც იმათთან უნდა მოვეკვდეთო. ამ დროს ნაცნობ სამხედრო ექიმის ვაგონში ჩაის გიახლებოდით სამნივე. წვიმიანი დღე იყო. ამხანაგ მაკარიმ მითხრა, როგორ მოვახერხო თქვენთან გადმოსვლაო?

— თუ შენ გსურს გადმოიწერო ჩვენს პოლკში, ეხლავე შემეძლო პოლკის კომანდირის სახელზე ბარათი დამეწერა, შენ მიუტანდი მას. მისი სურვილის თანახმად ბარათი მივწერე ამხანაგ ი. გ—ლს. ბარათის გადაცემის დროს გავუხმე განზე და ვუთხარი:

— იცი ჩემო მაკარ, რა სასიამოვნოა შენი ჩვენს პოლკში წასვლა! უფრო იმიტომ, რომ შენ მეგრელი ხარ. ხომ იცი, დღეს ჩვენ, მეგრელები, რა სამსახურს ვუწევთ სამშობლოს მართალია ჩვენს პოლკში მეგრელებიც არიან, კარგი ბიჭებიცა, მაგრამ შედარებით ქართლელებთან ძალიან ცოტანი. რაღა თქმა უნდა, მე პირადად გული მტკივა და კიდევაც მრცხვენია-მეთქი.

მაკარიმ ჩაიცინა და მითხრა:

— არაფერი უნდა გვიკვირდეს ასეთია ჩვენი ბედი. გულს ნუ გავიტეხთ, მოვა დრო, მოვლენ გონზე. ჩვენ აგერ არა ვართ?—გადიხარხარა.

მე უნებლიედ ჩავაკვირდი.

— რას მიყურებ, არა გჯერა? მე ეგრე ნუ მიყურებ, მე სამშობლოს დაუმტკიცებ, რომ ამ ჩემს პატარა ტანში დიდი სული ტრიალებსო!..

მისმა გრძნობიარე სიტყვებმა აგვაცრემლა ორივე. ის გავისტუმრე გურიისკენ ჩვენს პოლკში,

დიდი ხანი არ დარჩა ეს პოლკი გურიაში, იგი გადაიყვანეს ბორჯომის ხეობისაკენ აწყურის პოზიციაზე. ამის მერე პირადად არ მინახავს მაკარი.

და მართლაც, სიტყვა საქმედ ექცია მაკარის 23 და 24-ს აწყურთან ბრძოლაში. როდესაც ბატალიონის კომანდირს ჭრილობას უხვევდა, იმ დროს ორივეს გაუგმირა გულმკერდი მტრის ტყვიამ.

ეს სამწუხარო ცნობა ამოვიკითხე გაზეთის ფურცელზე. თავზარდაცემული დავრჩი ამ ამბის გაგონებ, მაგრამ ნათქვამია—ადამიანი ყველაფერს შეურიგდებაო... რა მეთქმის ამის მეტი.

ამხანაგო მაკარ!

მომიტევე, ვერაფერი გიშველე უკანასკნელ ჟამს, როდესაც მტრის ტყვიით განგმირული მიწაზე ეცემოდი. შენი უსულო და წმინდა გვამი მაინც გადმომესვენებია და იმ უმადურ მოღალატე ძმებისათვის დამემტკიცებია შენი უსულო გვამის ნახვით: აჰა, ღირსეულნი შვილნი როგორ კვდებიან სამშობლოს ხსნისათვის და თქვენ კი, ლაჩარნო, მოღალატენო, გარედ მხდალნო და შინ ძლიერნო, აქ რას ჩადიხართ,—მეთქვა მათთვის. ამ მიზნით ყველა შენი ამხანაგები გიცდიდით ბორჯომში, მაგრამ დამარწმუნეს, რომ შეუძლებელი იყო შენი გვამის გამოტანა.

არ ვიტირებთ, რაკი შენი და შენისთანა ამხანაგების უკვდავ სახელით ვამაყობთ და თუ ღმერთმა არგუნა მრავალტანჯულ სამშობლოს გამარჯვება, მას შერჩა საუკუნოებით დასახიჩრებული მისი სახე და თავისუფლება, იმ დროს, სახელოვანო გმირებო, სამშობლოსათვის თავდადებულნო, შემოვკრბებით თქვენის ძვლის ირგვლივ და დავძახებთ არა „სულთათანას“, არამედ ბრძოლის სიმღერას...

ბუკუ ლოლუა

ტფ. ქართ. საფილარმონიო საზოგადოება

რადგანაც პირველი საგანგებო კრება, ტფ. ქართული საფილარმონიო საზოგადოებისა, დანიშნული ივნისის 26, წევრების კანონიერი რიცხვის დაუსწრებლობის გამო არ შესდგა, ამისათვის განმეორებითი კრება დანიშნულია ორშაბათს ივლისის 1-ს საღამოს 7 საათზედ (კამერობის სამუსიკო სასწავლებლის სადგომში სოლოლაკის ქ., № 4) ეს კრება მეტად საყურადღებოა. სპეციალური კომისია მოხსენებას წარუდგენს კრებას სამუსიკო სასწავლებლის ორგანიზაციის შესახებ. ამის გარდა ეს კრება, როგორც მეორედ დანიშნული კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის საყურადღებოდ.

წინასიტყვაობას და მრავალ სიტყვებს არ შევუდგები. მოგახსენებთ მოკლედ და მკაფიოდ ჩვენს აწინდელს მდგომარეობას. ოფიცრობამ ამ რევოლიუციის დროს ისტორიული საშინელება გამოსცადა. ოფიცრობა შეზღუდულია ყოველ ნაირად. მისი პიროვნება და „მე“ ზედმეტად დამცირებულია.

თავისუფალ საქართველოს ბედის წარმომადგენელნო, შედით ჩვენს სატირალ მდგომარეობაში და სულ ნუ გაასწორებთ დედა-მიწასთან ჩვენს უდროოთ შერცხვენილს არსებობას და ვითარებას!

დიდებული ლეონ ტოლსტოისა არ იყოს, ნუ აარიდებთ პირს ტანჯულსა დარცხვენით ნურცა დაირცხვენთ ჩვენთან ახლო მოსვლას და გამოლაპარაკებას! უბედურებაში მყოფს უყვარს ნახვა თანამგრძნობ ადამიანის სახისა, უყვარს თავის ტანჯვის მოთხრობა, გაგონება შებრალების და თანაგრძნობის სიტყვებისა.

ჩვენ მუდამ ვიყავით დამცველნი თავისუფლებისა და სამშობლოსი. გაიხსენეთ აჭარის წყალზე მყოფ ოფიცრების რაზმი, მისი მნიშვნელობა და მდგომარეობა, გაიხსენეთ ბათუმის დაცემის დროს, ოფიცრების თავგანწირულება და სხვა.

ამ ხნის განმავლობაში ხეირიანად არც სასმელ-საჭმელი გვქონდა, და არც ფულს გვაწვდიდენ თავის დროზე, მაგრამ ჩვენ საწინააღმდეგო ერთი სიტყვაც არ ამოგვიღია, რადგან დარწმუნებული ვიყავით, რომ სამშობლოს საშინელება მოელის და მას ხსნა უნდოდა.

ბოლოს რა! ჩამოგვრეკეს აქ ტფილისს, და გამოგვიცხადეს, „ზაპასში“ უნდა გაგიშვათო.

რამდენი ხანია ქუჩის ბიჭებივით ვყრივართ „ყაზარმაში“, გვაწუხებს საშინელი მოუწყობლობა, არავინ არ შედის ჩვენს მდგომარეობაში, არავინ თანაგვიგრძნობს!

ოფიცრების პირით მოგახსენებთ რომ თუ ჩვენი უფროსების ბრძანებას ძალა აქვს, გაგვისწორონ ანგარიში და გაგვიშვან, ან საჭირო თუ ვართ, რად ვყრივართ უსაქმოდ და თავი მოგვძულდება?! ან და რამდენჯერ გამოსცეს ბრძანება, მალე „ზაპასში“ გაგვიშვებთ და ანგარიშსაც გაგისწორებთო!

ჩვენ გვგონია, რომ რაც გადაგვიტანია საშინელება, საკმარისია. ან ჰო, ან არა! ან გაგვიშვან გაგვისწორონ ანგარიშები, ან გვამსახურონ როგორც რიგი და წესია.

თუ გაგვიშვებენ „ზაპასში“, მოგვეცეს სხვა და სხვა დაწესებულებებში ადგილები, რომლითაც შევძლოთ არსებობა.

მონდობილობით ხმორტელი.

მხედრობა.

ნათქვამია: მოყვარის პირში უძრახეო და ეს სწორედ ჩვენთვის არის დღეს საჭირო. დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკა ჯერ ისე ნორჩია, რომ არ იქნება ბევრი ნაკლი არ ჰქონდეს, მმართველობაც მიზანშეწონილად და შეუცდომლად მოქმედებდეს. ამიტომ საჭიროა ცხოვრების ყოველ დარგს დღეს მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება და დიდი დაკვირვება და გამჭრიახობა გამოვიჩინოთ, ნორჩ სხეულ მოუმაგრებელ სახელმწიფოს ცოტა ნაკლიც ბევრს ზიანს მოიტანს. ჩვენი ვალია შეცდომების მითითება და ამგვარად მთავრობისათვის ხელის შეწყობა. ამ მოსაზრებით განვიზრახე ალმენუსხა ჩემი პირადი შეხედულება შთაბეჭდილება-დაკვირვება გაზეთის ფურცლებზე.

ნორჩ საქართველოში განსაკუთრებით სამხედრო უწყებას ეტყობა ერთნაირი დაკნინება, უმოძრაობა; ყველაფერი ისევ ძველებურად არის მოწყობილი, ახალი რამ არა ჩანს. ვინაიდან საქართველოს დღევანდელ მდგომარეობაში სამხედრო საქმეს რიგიან ჯარს შედის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ეს უწყებაც ეხლავე იდეალურად უნდა მოეწყოს. ეხლა კი ამის ნასახსაც ვერა ვხედავთ. მაისის ბოლო რიცხვებში საქართველო დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად გადაიქცა. საჭირო იყო საქართველოში ქართულად საქმის წარმოება მაშინვე ყოფილიყო შემოღებული, მაგრამ ამას დღესაც ვერ ვხედავთ: ყველაფერში რუსული ენა დარჩა, ყველა დარგში რუსი ან სხვა უცხოელი მოხელეა. თავის თავად ამ უბრალო მოვლენას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ თუ მივაქცევთ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ამის გამო ჩვენს ჯარში ბევრი უცხო ელემენტი დარჩა, ვისაც თუ არ გაახარებს, არ მოაწყენს მაინც ჩვენი სამშობლოს უბედურება, დამეთანხმებით, რომ ამ უბრალო ნაკლს ბევრი ზიანი შეუძლია მიაყენოს ისედაც მოუმაგრებელ საქართველოს რესპუბლიკის ორგანიზმს. ჩვენს მოვალეობას შეადგენს გავწმინდოთ ჩვენი ერი, განსაკუთრებით სამხედრო ძალა ასეთ მავნე პირთაგან და ამის საუკეთესო საშუალება კი უწყებებში ქართული საქმის წარმოების შემოღებაა, ასეთივე მიზნით საჭირო ეხლავე შემოღებულ იქმნას ქართული ჯარის ქართულად გაწვრთნა. ყველაფერი ეს რა თქმა უნდა თავდაპირველად ძნელია, ამრიგად ჩვენი ჯარი გათავისუფლდება გადაგვარებულ ქართველებისგანაც, რაც აგრეთვე საჭიროა. ასეთ გადასინჯვის შემდეგ დარჩება შედარებით უფრო კარგი შემადგენლობა ჯარის ხელმძღვანელთა და უფროსთა. მაგრამ ესეც საქმეს ვერ მოაგვარებს. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ხელმძღვანელთა და უფროსთა დიდი ნაწილი სრულიად უვარგისია დღევანდელ პირობებში, როცა საქმიანობა პირველ ადგილს იჭერს. ამის მიზეზი მათ აღზრდის სისტემაში უნდა ვეძიოთ, რაც დაგვარწმუნებს, რომ აწ განსვენებული ნიკოლოზის მთავრობა „განუცნობლად ბრწყინვალე“ ოფიცრობას ზრდიდა და სრულიად არ უნერგავდა მათ შრომის უნარს გამონაკლისს შეადგენს ის მცირე ნაწილი, რომელსაც საქმის მოყვარეობა უყვარს. აი ამ მცირე ჯგუფს უნდა მივენდოთ ქართველთა ლაშქარი გასაწვრთნელად და ახლო მომავალში ჩამოგული ჯარი გვეყოლება და ჩვენი არსებობის საკითხი მკვიდრათ დაისმის, თუ ეს არ მოხდა ხეირიან ჯარს ვერ ვიღირსებთ.

თუ პირველი ჯარის ხალხის გაცხოველება ადვილია, ასევე არ ითქმის მეორეზე: აქ დიდი დაკვირვებაა საჭირო, და თუმცა ამ მიზნით მთავრობამ უკვე გამოსცა ბრძანება ოფიცერთა ნაწილის სამსახურიდან განთავისუფლებისა, მაგრამ ეს ზომა ცხოვრებაში შესაფერად გატარებას თხოულობს, რომ უბედურება არ მოგვივიდეს და დათხოვნილნი არ იქნენ კარგი მუშაკნი და სამსახურში დატოვებული გრძელ-ენა მლიქვნელნი უსაქმურები. ეს ასეც მოხდება, თუ ნაწილების უფროსებს, ვის მოვალეობასაც ოფიცერთა დათხოვნა შეადგენს, გარეშე ავტორიტეტულმა და მათი საქმიანობის მცოდნე ორგანომ დახმარება არ გაუწია. ისე ადვილი ფართო ექნება ნათლი-მამიობას და ნაცნობ-მეგობრობას. რაც ეხლავე აშკარად ჩანს, თუ დავაკვირდებით შტაბების შემადგენლობას.

ოფიცერთა ეხლანდელი შემადგენლობის მოზრდილი ნაწილი სრულიად არ არის მომზადებული დღევანდელ მდგომარეობისათვის და მას უნარი არა აქვს ჯარის გასაღების დანიშნულება მოეძებნოს. ჯარის-კაცი უფროსს მხოლოდ მაშინ სცემს პატივს, როცა ის უფროსი მასზე გონებრივად და ზნეობრივად მაღლა დგას, მუშაობას დაუღალავად ეწევა, პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას და ჯარის კაცს ადამიანურად ეპყრობა: შედის მისს მდგომარეობაში. საჭიროების დროს დახმარებას უწევს, ასწავლის ზრდილობას, ცხოვრებას და საყოველთაოდ კარგს მაგალითებს უჩვენებს ცხედრის საქმის ასრულებისას. ჩვენი ოფიცრობის დიდი ნაწილი დამთავრებულია გარეგნობის ტრფიალი, ვინაიდან, ისინი მხოლოდ გარეგნობის სიყვარულის ნიადაგზე არიან აღზრდილნი და არა საქმიანობისა.

ამასვე ნათლად ამტკიცებს ჩვენი შტაბების ეხლანდელი შემადგენლობა: გარეგნობა და მხოლოდ გარეგნობაა აქ. საქმეს ვერ ვხედავთ. სამაცადინოთ გვიან მოდიან, ადრე მიდიან. იმ ცოტა ხანსაც მარტო უმნიშვნელო მუსაიფში ატარებენ, უქმეს ნიადაგზე არც წარჩინების საკითხია; გუშინდელი პრაპორშჩიკი, დღეს კაპიტანია, პოდპორუჩიკი კი პოდპოლკოვნიკი. სათქმელია, რომ ჩინის მისატანას ჯამაგირის მომატებაც მისდევს და დღეს ჯამაგირი კი ხალხის ფულია. ყველა ამ უწესობას მთავრობის ყურადღება უნდა მიექცეს, რომ სამხედრო საქმე სასურველ ნიადაგზე დადგეს.

ტ. შ—ძე.

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. [illegible] ქ. № 6.

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილით 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. [illegible] ქუჩა, № 7. 918[illegible]

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მისის ქუჩა № 7. ტელეფ. 17—49. 1153

ექიმი
[illegible]
[illegible] 1002

მედიცინის დოქტორი
მიუნხენის უნივერსიტეტისა
ნ. ლ. ტურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—5 საღ. შინაგანი, ბავშვებისა, სამებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმონოვიჩის აფთიაქის გვერდით. 624

ექიმი
ს. ზ. მირზოევი
[illegible] მეორე სართული. 1009

ექიმი
ი. ი. ზერიშვილი
დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 8. 450

ექიმი
კ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით 5½—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

თვალის სამკურნალო
მუდმივი საწოლით
ექიმ დონხინისა
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში, თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად), მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

ექიმი
გ. მ. მუხაძე
[illegible] 1080

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე. გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1082

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, ჭლექით, ფილტვის, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მახკოვის ქ. № 11. 426

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
ი. ლ. შალამბერიძე
იღებს სამებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

მარტის 20 გაიხსნა
ახალი სამკურნალო
კბილის ავადმყოფთათვის
ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის
საავადმყოფოში იარსებებს კბილის ხელოვნური კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტექნიკურ ლაბორატორიით. მიხეილის პროსპექტის და კიროჩნის ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩნის ქუჩიდან). ტელეფონი 10—87. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე. ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—საღამოს 5—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს. ღარიბები უფასოდ მიიღებიან კვირაობით 10—12 ს. 327

ექიმ ნავასარდიანის
კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
[illegible] ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606“ და „914“ 11—12
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილისი) ავადმყ.)
გ. ი. მაჩხნერი: 9—10 ს. ქალების და საშარდისა.
ბ. გ. აგაზაროვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
აჰვერდიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.
მ. მ. ბუნიათოვი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ბ. გ. აველტიხიანი—9—11 ს. საკუთარ ბავშვთა ავადმყ.
ი. ი. ტერ გრიგორიანცი: 1—2 ს. შინაგანი.
საღამოთ:
ა. ნ. ახაკიანი: 6—7 ს. ქალების ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1010

ყველა მოქალაქისათვის
3 მან. წერილი 3 მან.
შეიძლება პასუხითაც, რუსეთის, ციმბირის, უკრაინის, საქართველოს, სომხეთის, კავკასიის, პოლონეთის და დასავლეთის მხრის ყველა ქალაქში. ფასი ღია წერილი წერილისა 3 მან. დახურულის 6 მ. და შეკვეთილის 7 მან. ყველა წერილი მარკებით უნდა იქმნეს გადახდილი. საგანგებო შეთანხმებით შეიძლება სხვა და სხვა საქმის მონდობა და გაბნეული საქონლის მოძებნა.—ამ საქმეებისათვის იგზავნება გამოცდილი პირები და სანდო წევრები კავკასიის მშრომელთ კოოპერატივისა. დიდი მთავრის ქ. და კირკის ქ. კუთხე, ოფიცრების საზ. შენობა, საკომისიო-საშუამავლო კონტორა, დილის 10—2 ს. საღ. 5—6 ნახ. ს. საზოგადოების საწყობში (ოლღას ქ. 49) შეიძლება ბარგისა და საქონლის შენახვა, იაფად. 680

ძმ. ვეფხვაძეების
კვასის და ლიმონადის ქარხანაში მზადდება, საუკეთესო გემოს და სუნის ხილეულობის და ხელოვნური მინერალური წყლები.
განახლდა კვასის მზადება
აქვე იყიდება ნამდვილი ღვინის ძმარი, თეთრი და წითელი
მისამართი. ქარხანი: კუთხე გოგოლის და ბატარეის ქუჩებ. მაღაზია: სადგურის პირდაპირ „ეტაპნი დვორის“ გვერდით. 642

სავაჭრო სახლი
„კომერსანტი“
კერძო პირთ, საზოგადოებებს, კოოპერატივებს, სხვა და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს, ქალაქისა და სოფლის ხალხს შეუძლია ამ სავაჭრო სახლის შემწეობით შეიძინოს ყოველგვარი ნაწარმოები, რაც კი მოიპოვება შინაურ და უცხოეთის ბაზარზე.
ყველას, ვისაც რაიმე ნაწარმოები აქვს, შეუძლია გაასაღოს სავაჭრო სახლი „კომერსანტი“-ს შემწეობით.
„კომერსანტს“ ჰყავს აგენტები როგორც კავკასიის ყველა დაბა ქალაქებში და სოფლებში, ისე რუსეთის და უცხოეთის დიდ ქალაქებში.
„კომერსანტი“ თვალყურს ადევნებს შინაურ და უცხოეთის ბაზარს, იცის რა ნაწარმოებია იქ გამოტანილი და რა დღეებში შეიძლება მისი შეძენა.
„კომერსანტებს“ აქვს რუსეთის და უცხოეთის დიდი ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენლობა და მხოლოდ მისი შემწეობით შეუძლიათ მსურველთ ამ ფაბრიკა-ქარხნებიდან სხვა და სხვა მანქანების და ნაწარმოებების შეძენა.
„კომერსანტი“-ს კანტორა მოთავსებულია გოლოვინის პროსპექტზე ქალაქის სახლში № 10 და ღიაა დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
დეპეშით მისამართი ტფილისი „ტორდოვომი“. 1160

კბილის ექიმის
ვ. ი. ჭიჭინაძის
კაბინეტი
ავადმყოფებს ღებულობენ კბილის ექიმები: ვ. ი. ჭიჭინაძე, ვ. დ. მირიანაშვილი და ს. ი. ჩარკვიანი 9—2 და 5—7-მდე.
მიხეილის პროსპ. 78. 591

სტამბა
„სახალხო საქმე“
იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ყოველნაირ გამოცემათა, აფიშების, სადარბაზო ბარათების, კანტორის წიგნების და სხვათა დაბეჭდვას.
საქმე სრულდება სუფთად და თავის დროზე.
კანტორა მოთავსებულია ქუჩის პირად. ბარონის ქუჩა № 14. ტელეფონი 17—96

სტამბა „სახალხო საქმე“, ბარონის ქუჩა № 14